ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 3

"25" იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპუსი N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტალის კორპუსი N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის № 18.1036.1460 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპუსი № 2ა-ში, სართული 1, ბინა № 35, ფართით 81.25 კვ.მ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.19.27.007.004.02.035) მოქალაქე იამზე გვიდიანისთვის (პ/ნ № 01028001959) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**